



დამტკიცებულია
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის
2018 წლის 08 ივნისის
ბრძანება N 2/48

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით სარგებლობის წესი

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტებს და თანამშრომლებს უფლება აქვთ:

- ა) გამოიყენონ შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტი სამუშაო დღის საათებში 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.
- ბ) ინტერნეტის მეშვეობით მოიძიონ სასწავლო ინფორმაცია, გადმოწერონ და გადაწერონ ინფორმაციის დამგროვებლებზე;
- გ) შეასრულონ პრაქტიკული დავალებები როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად;
- დ) მიიღონ შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის თანამშრომლებისგან კონსულტაცია ტექნიკისა და ინტერნეტით მომსახურების გამოყენების დროს.

2. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სტუდენტებს და თანამშრომლებს ეკრძალებათ:

- ა) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის თანამშრომლებთან შეთანხმების გარეშე პროგრამების ჩაყენება-ინსტალაცია;
- ბ) გასართობი და სხვა არასასწავლო, არასაგანმანათლებლო საიტების გამოყენება, რაც არ არის დაკავშირებული აკადემიის პერსონალის სამუშაოსთან ან საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო საქმიანობასთან;
- გ) არამიზნობრივად ჩატის და მსგავსი ინტერნეტ მომსახურების გამოყენება.

3. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების სტუდენტები და თანამშრომლები ვალდებული არიან:

- ა) არ დააზიანონ შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ტექნიკა და ინვენტარი;
- ბ) გამოყენების შემდეგ გამორთონ კომპიუტერი;
- გ) დაიცვან სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და სიწყნარე კომპიუტერულ ტექნიკასთან მუშაობის დროს;
- დ) ტექნიკისა და ინვენტარის დაზიანების შემთხვევაში ანაზღაურონ მიყენებული ზარალი.